ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5375064

ნომერი: AR1816670

თარიღი : 08.04.2021

გაცემის თარიღი : 21.04.2021

გაცნობის თარიღი : 21.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო; ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირკიტაძე პ/ნ 01013012659
- თბილისი პეკინის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - სავაჭრო ცენტრი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. N81.08.17.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ნაკვეთი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დასაშვებია მხოლოდ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი უნდა შეიცვალოს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად.

2. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთებს არ გააჩნია სრულფასოვანი საავტომობილო გზა, საჭიროა წარმოადგინოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით. განგიმარტავთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სქემა სამსახურის მიერ გადაგზავნილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში. სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა თქვენ მიერ უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან და შემდგომ წარმოდგენილ იქნეს არქიტექტურის სამსახურში.

3. მოთხოვნის შინაარსი -> მოთხოვნის ტექსტი: დააკონკრეტეთ საპროექტო შენობაში შემავალი თითოეული ფუნქციის პროცენტული მაჩვენებელი.

4. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აეროდრომის რაიონში. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია აჭარბებს შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს მიერ დადგენილ ნიშნულს, საჭიროა წარმოადგინოთ აეროდრომის ექსპლუატანტის შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

5. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა. -> . სქემის ელექტრონული ფაილი.:
წარმოადგინეთ საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა, რომლის წარმოდგენის შემდგომ განაცხადი გადაიგზანება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად.

6. წარმოდგენილი განაცხადი არქიტექტურის სამსახურის მიერ გადაიგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად. აღნიშნული სამსახურის მიერ #18-01211062879 (16/04/2021) პასუხით გამოვლინდა ხარვეზი (იხ. ფაილი) შესაბამისად, წარმოადგინეთ განახლებული დოკუმენტაცია, რომლის წარმოდგენის შემდგომ არქიტექტურის სამსახური კვლავ გაგიწევთ შუამდგომლობას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.